№ 97 16 მკათათვე, შაბათი 1866—1877 16 მკათათვე, შაბათი № 97

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲣᲛᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასი-მეტ-ოთხეულ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ოფიციალური)

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ�პᲝᲚᲘ, 13 ივლისს. მუხთარ-ფაშის ჯარი რაც ღონე აქვს მაგრდება იმავე ალაგებში, საცა დაბანაკებული იყო.

პოლკოვნიკის ქომაროვის ჯარი ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲗᲐᲜ არის გამაგრებული; ამ ჯარის წინააღმდეგ 3,000 ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝ მიდის.

—

ᲕᲔᲜᲐ, 14(26) ივლისს. ბაზეთს „Presse“-ში იწერებიან ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ: რუსის ჯარები მეჯიდიედამ და მანგალიიდამ ᲑᲐᲖᲐᲠᲯᲘᲧᲘᲡᲐᲙᲔᲜ მიდიან; აქეთკენ მიდის აგრეთვე პრინცი ᲰᲐᲡᲡᲐᲜ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ჯარებით; ამ მოკლე ხანში აქ შეტაკებას მოელიან.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ მყოფ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ზღვის აფიცრებს ბრძანება მოუვიდათ, რომ საჩქაროთ ᲑᲔᲖᲘᲧᲘᲡ ნავსადგურში გაჩერებულ ფლოტზე დაბრუნდნენ; ამის გამო ამბობენ, რომ ეს ფლოტი მალე ᲓᲐᲠᲓᲐᲜᲔᲚᲨᲘ შემოვაო.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔᲓᲐᲛ იწერებიან, რომ ჩერნოგორიელებმა აიღეს ორი ძლიერი ციხე ნიკშიცის წინაო.

ბაზეთს „Tagblatt“-ში იწერებიან შუმლიდამ, რომ ᲞᲚᲔᲕᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ბრძოლის შემდეგ, ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲜ-ფაშა თავის ჯარებით ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲜᲨᲘ დაბანაკდაო. ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡ მხრით 150 კაცი მოჰკლეს და 1,000-მდინ დაჭრილიაო.

—

ᲗᲣᲠᲥᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ რუსეთის მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ კორპუსის გასაძლიერებელად ერთი ახალი დივიზია მოვიდა რუსეთიდამაო. ᲔᲡ დივიზია, როგორც ახლა რუსულს გაზეთებში იწერებიან, სულ 12,000 კაცის ქვევითა ჯარისგან ყოფილა შემდგარი, მაგრამ ამას გარდა რუსის ყაზახები მოდიან თურმე, რომელთაც 10 ბატარეია მოაქვთ თან, ასე რომ ღენ. ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ კორპუსს 20,000 ახალი ჯარი მოემატებაო. როცა ეს ჯარები მოუვა ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲡ, მაშინ ხელ-ახლად დაიწყება მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ ბრძოლის ველზე საინტერესო ამბავი და იმედია, რომ კიდევ უკან დავსწევთ ᲧᲐᲠᲡᲗᲐᲜ დაბანაკებულ მუხთარ-ფაშასაო.

—

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ გაზეთს „Morning Post“-ს შემდეგი დეპეშა მოსვლია პეტერბურღიდამ:

„ᲐᲥᲐᲣᲠᲘ რუსები ძალიან გააჯავრა იმ გარემოებამ, რომ რუსის ჯარი იძულებული შეიქნა ისევ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ დაეთმო. ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ თხოულობენ, რომ ღენ. ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ გამოსცვალოს მთავრობამ და მის ადგილზე დანიშნონ რუსი ღენ. ᲩᲔᲠᲜᲘᲐᲕᲘ. ᲐᲥ იმედი აქვთ, რომ როგორც ახალი ჯარი მოემატება ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲡ კორპუსს, რუსები ისევ ხელ-ახლად დაიპყრობენ ᲡᲝᲮᲣᲛᲘ.“

—

ᲐᲑᲮᲐᲖᲔᲚᲘ კორრესპონდენტი რუსული გაზეთის „Голосъ“-სა, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს იწერება, ივნისის 25-ს, აბხაზების აჯანყებასა და ოსმალოებისაგან ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ აღებაზედ:

„ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, რომ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ სამხედრო მაზრის უფროსი ღენერალი ᲙᲠᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝ წინ-დახედულათ და თავიანათ არ მოიქცა ამ ომის დროს. ᲐᲥ ორი-სამი თვის წინათ, ომის გამოცხადებამდინ, ლაპარაკობდნენ, რომ, თუ რუსეთსა და ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡ შუა შეტაკება მოხდა, აბხაზები აჯანყდებიანო და ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡაკენ გადავლენო. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ხმაც რომ არ ყოფილიყო, ძნელი არ იყო წინათვე მოსაზრება, რომ ეს თითქმის ბარბაროსი ხალხი თავის თანა-მორწმუნე ოსმალოებს მხარს მისცემდა. მართალია, ქრისტიანები, ახალ მონათლულები ამათშიაც ურევია; მაგრამ ამათ ქრისტიანობის არა მოსცხებია-რა, ისევ იგივე მეჰმადიანები არიან და თითქმის ყველა ᲣᲠᲐᲜᲘᲡ წესს ასრულებს.

„ᲐᲮᲚᲐ, როცა ამ გვარის წინ-დაუხედარობის გამო, ჩვენი ჯარი იძულებული იყო ᲡᲝᲮᲣᲛᲘ დაეთმო და როცა ოსმალოები დაჩერქეზები გამოვიდნენ ხმელეთზე, ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ უკან წართმევა და აბხაზების დამშვიდება ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ძნელია, რადგან ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲛᲐ საგანგებოდ გაამაგრეს სოხუმი ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛ მოტანილის ზარბაზნებითა და ციხეებით; აბხაზებს ისეთი ალაგები უჭირავთ, რომ ჩვენი ჯარი იმათ ᲕᲔᲠ მიუდგება და ძნელად თუ დაიმორჩილებს.“

—

ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთის ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲔᲚᲘ კორრესპონდენტი იწერება, რომ ამას წინათ ᲧᲐᲠᲡᲗᲐᲜ, ერთ შეტაკების შემდეგ: ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝᲡ დაჭრილებთა შორის, ᲔᲣᲐᲮᲔᲗ ორი ახალგაზდა ქალი, რომელნიც თავით-ფეხებამდინ დაიარაღებულნი იყვნენ. როცა ჩვენ მომხრე ყარაფაფახებმა გაცარცვეს დაჭრილები, ტანისამოსი გაძვრეს, იმათ რიცხვში ნახეს ეს ქალები და საძაგელი უპატიურება მივყენეს იმათაო. ᲔᲠᲗᲘ ამ ქალთაგანი გასაკვირველი ლამაზი იყოვო, ამბობს კორრესპონდენტი, და თან უმატებს, რომ ᲧᲐᲠᲡᲔᲚᲘ ქალები თავის მხნეობითა და მამაცობით დიდი ხნითგანვე გამოჩენილნი არიანო.

—

ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲔᲚᲘ კორრესპონდენტი ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ გაზეთის „Times“-ისა იწერება, რომ „ნამდვილი წყაროდამ შეეიტყე მეო, რომ რუსებმა გამოაცხადესო, რომ ვინც მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲛᲐᲚᲝᲡ არმიაში მყოფს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ აფიცერს მოიყვანს, ცოცხალს ან მკვდარს, თითო ამ აფიცერში მომყვანს 2,000 მანეთი საჩუქარი მიეცემაო. რუსულს გაზეთებს ეს ამბავი, რასაკვირველია, არა სჯერათ.

—

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ოსმალეთის დუნაის არმიის რიცხვზე გაზეთს „Голосъ“-ში შემდეგი ცნობებია მოყვანილი:

„აბდულ-ქერიმ-ფაშის ხელ-ქვეშეთ, შუმლის, სილისტრიის, ვარნისა და რუსჩუკის გარნიზონებს გარდა, ამ თვის დამდეგამდინ იყო სულ—100,000 კაცამდინ ჯარი, ვიდინის კორპუსში ითვლება—50,000 კაცი, სოფიასთან დაბანაკებულ კორპუსში ითვლება—30,000 ადრიანოპოლთან და ბალკანის გასავალ ადგილებში იქნება უკანასკნელი 30,000; პეტუნჯიდამ ჩერნოვოდამდინ, 25,000 —სული ევროპის ბრძოლის ველზე ოსმალეთს ამ ჟამად 235,000 კაცი ჯარი ჰყავს.

—

რუსის ჯარი გარს-შემორტყმია ხმელეთით რუსჩუკის ციხეს. ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ რუსჩუკის აღება, დამორჩილება ორის თვის განმავალობაში შეიძლებაო. „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ რუსის ცხენოსანი ყაზახები ქალაქ ბამბოლამდინ მივიდნენო.

—

კონსტანტინოპოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „Daily News“-ისა იწერება 1 ივლისიდამ, რომ სკუტარიდამ ვითომც ტელეგრამმა მოსულა, რომ ინგლისის კონსული, მმართებლობის ბრძანებით, წავიდა ამ ქალაქიდამ ცეტინიეში იმ განზრახვით, რომ ოსმალეთსა და ჩერნოგორიის შუა მორიგებაზე დაიწყოს ამ ორი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაო.

—

ერთს ნემეცურს გაზეთში შემდეგი დეპეშა დაბეჭდილი 6 ივნისს სტამბოლიდამ მიღებული:

„ამბობენ, რომ ამ დღეებში მთავარი ვეზირი ედხემ-ფაშა გადაყენებული იქნება ამ თანამდებობიდამ და იმის ალაგას აარიფ-ფაშა დაინიშნებაო. აქ დარწმუნებული არიან, რომ აარიფ-ფაშის შემდეგ მიტჰხად-ფაშას მიანდობენ მთავარ-ვეზირობას, რადგან აარიფ-ფაშა იმის მომხრე და პარტიის კაცია.“

—

რუსის ჯარისაგან ახლად აღებულს ციხე ქალაქს ნიკოპოლში 20,000 მცხოვრებელი ყოფილა; ამათში მომეტებული ნაწილი ბოლგარიელები, ნაკლები ოსმალოები. ქალაქი ძალიან კარგათ ყოფილა თურმე გამაგრებული, და რუსებს დიდხან ვერ მოუხერხებიათ იმის აღება.

—

ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან ვენიდამ, რომ ვენგრიის ღენერალი ქლაპკა სტამბოლში გამოიხმო სულთანმაო. ამბობენ, სულთანს განზრახვა აქვს, რომ ამას მიანდოს ბოლგარიის ოსმალოს არმიის შტაბის უფროსობა.

—

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ მგვიპტეს ხედივს უცნობებია ხონთქრისათვის, რომ ამ მოკლე ხანში 20,000 კაცს ახალ ჯარს კიდევ გამოეგზავნი დასახმარებლათაო. ამბობენ, რომ ამ ჯარის წამოსაყვანათ ხომალდების თხოვებას ინგლისი დაჰპირებია.

—

„რეიტერის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ ოსმალეთის მმართებლობამ ბრძანება გამოსცა ადრიანოპოლის ვილაიეტშიო, რომ ყველა, ვისაც კი თოფის დაჭერა შეუძლიან, უნდა გამოვიდეს ბრძოლის ველზედაო.

—

ზობარტ-ფაშა ორის ჯავშნიანის ხომალდით წამოსულა შავი ზღვისაკენ. ზემოხსენებულს გაზეთშივე, ზობარტ-ფაშის თაობაზე, იწერებიან, რომ ხონთქარმა სრული უფლება მისცა იმასაო, რომ როგორც თვითონ დაინახავს საჭიროთა და სასარგებლოთ, ისე მოიქცეს ის ზღვაში.

—

„ბირშის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ რუსის ჯარი ორს ალაგას გადავიდა ბალკანის მთებზედაო: დონის ყაზახები შიპკოსთან გადავიდნენო და ქვეშეთა ჯარი კი პატარა საცხენო გზაზედ გადავიდაო. რუსის ცხენოსანი ჯარი, ამავე გაზეთის სიტყვით, იმ რკინის გზამდინ მისულა, რომელიც ფილიპოპოლიდამ ადრიანოპოლამდინ მიდის:

—

ოსმალები და ოსმალოს მომხრე გაზეთები დაჟინებით არწმუნებენ ქვეყანასაო, ამბობს ერთი რუსული გაზეთი, რომ ვითომც ჩვენს ჯარსა და ბოლგარიელებს სხვა-და-სხვა ბარბაროსობა ჩაედინოსთ ბრძოლის ველზედ და ოსმალოები ეწვალებინოსთ და მოეკლასთ. ამ საგნის შესახებ, გაზეთის „Times“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი ამბობს:

„ეს არის დაებრუნდი მე ხონთქრის სასახლიდამ; თვითონ ხონთქარმა თავის პირით დამარწმუნა მე, რომ ბოლგარიელებმა ოსმალოს მშვიდობიანი მცხოვრებლები დახოცესო. რუსები ბოლგარიაში ოსმალებს ართმევენ თოფ-იარაღს და ბოლგარიელებს აძლევენო. ქალებს შეურაცხყობას აყენებენ, ყმაწვილებს ხოცენო. სტამბოლში 500 კაცი მოვიყვანეთო, რომელთაც რუსებისაგან ხელები აქვთ ყველას დაჭრილიო და სხვ. და სხვ.

საქართველო

დღიური

*** ამ დღეებში მოსკოვიდამ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში 56 მომვლელი ქალი, რომელთაგან ზოგნი აქ რჩებიან დაჭრილი და ავათმყოფ მეომრების მოსავლელად და ზოგნი კი მცირე აზიისა და ბურიის ბრძოლის ველზე იგზავნებიან.

*** „სასოფლო გაზეთში“ იწერებიან:

„ამ ჟამად სჩივიან მუშის სიძვირესა. ქართლში ისე გაძვირდა მუშაო, რომ მთიბავსა და მომკავს დღეში მანეთ-ნახევარი ფასი აძევსო და ამასაც ძნელად შოულობენო. ამ წელს ომიანობის შიშის გამო აისორები ცოტანი გამოსულან სპარსეთიდამ, ადრე კი ბევრნი მოდიოდნენ მთიბავად... ბლეხ-კაცობისაგან მუშა ხალხი ჯარში გავიდა და ამ მიზეზების გამო გაძვირდა. წინათაც მოვიხსენეთ, რომ იმერეთისა და მეტადრე სამეგრელოს მუშა ხალხი აქ კარგ სარგებლობასა ნახავდა, რომ გადმოსულიყო, მაგრამ შეუზეველობის გამო არ გადმოდის.“

*** ჩვენს ქალაქში ერთობ გახშირებულია ამ ჟამად პირუტყვის ავათმყოფობა — თურქული. ეს ავათმყოფობა მდგომარეობს იმაში, რომ საქონელს ჩლიქში იარები უჩნდება ასე, რომ სიარული აღარ შეუძლიან და თუ რამ წამალი არ დაადვა პატრონმა, ისე შეაწუხებს, რომ ბოლოს მოკლავს. ძროხებს გარდა, როგორც გვითხრეს, თფილისის ახლო-მახლო ზოგიერთს სოფლებში თხებსაც გამოსჩენია ეს ავათმყოფობა.

თურქული გადამდები ავათ-მყოფობაა ასე, რომ თურქულიანი ძროხის რძე რომ იხმაროს საჭმელში კაცმა, პირში გამოჰყრის, სტომაქს მონელება უძნელდება საჭმლისა და თუ პატარაა ავათ, შეიძლება კიდეც მოკლას. ამისათვის ჩვენ ურჩევთ ჩვენი ქალაქისა და სოფლების რძის მხმარებლებს, რომ გადაუდუღარ რძეს საჭმელში ნუ იხმარებენ, რადგან გადადუღებულს რძეს თურქულის გადადების ძალა ეკარგება და კაცს ავათ არ გახდის.

მეოჯახეები ამბობენ, რომ თურქული, სხვათა შორის, იმისაგან ემართება პირუტყვესაო, რომ მენახირეები რიგიანათ არ უვლიანო; როცა ნახირში ჰყავთ, ნარბენ, დალალულ საქონელს პირ-და-პირ წყალზე მიარბენინებენ, ასევეენ და ამისმაგ უჩნდებათ ხშირად სხვა-და-სხვა სენიო.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ თფილისის პროტესტანტების პირველ-დაწყებით სკოლაში ქართველ ყმაწვილებს, სხვათა შორის, ქართულ ენასაც ასწავლიანო.

Ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ეს შკოლა კერძო შკოლაა და თუმცა ვალდებულნი არ არიან, რომ ქართული ასწავლონ, მაგრამ, რადგან საჭიროდ დაუნახავთ, ასწავლიან; და სხვა სასწავლებელში, სახაზინო სასწავლებელში, სადაც ქართულ ენის სწავლებას თვით მმართებლობისაგან დამტკიცებული პროგრამმა თხოულობს, ამ სასწავლებლებში კი ქართულ ქართველებს არ ასწავლიან.„

*** ერევნიდამ სომხურ გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს ყველა ხორაგეული აქეთკენ საგრძნობელად გაძვირდაო; ფუთი პური, სხვათა შორის, ერევანში ამ ჟამად—90 კაპ. და ხშირად მანეთათაც ფასობსო.

*** ბუშინასწინ დილით, 14-ს, ჩვენს ქალაქში მოიტანეს ართაანში წართმეული ოსმალოს რამდენიმე ზარბაზანი, რომელიც ბუნიბის მაედანზე დააყენეს. ზარბაზნები სულ ერუპის ქარხნიდამ არის. თფილისის ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დგას და გაკვირვებით შესცქერის ამ ზარბაზნებს...

*** ქახეთიდამვე გვატყობინებენ, რომ ვაზის ავათმყოფობა აქეთკენ თან-და-თან ძლიერდებაო. ზოგიერთი ზვრები ისე მოდებილია ნაცრითა, რომ საცა ადრე რამდენიმე საპალნე ღვინო გამოდიოდა, წელს რამდენიმე ჩაფის მოწევის იმედიც დაეკარგათო.

რას გვიკეთებს ჩვენი განახლებული „ქავკასიის სამეურნეო საზოგადოება?“ ამისთანა გარემოებაში უნდა გაუჩნდეს ის ჩვენ მემამულეთ „გაჭირების ტალკვესად“.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის სომხებს ხელის-მოწერა გაუმართავთ იმ ოსმალოს სომხების საპარგებლოდ, რომელნიც ოსმალეთის სომხეთიდამ გადმოვიდნენ ჩვენში ამ ომიანობის გამო, და ამ ხელის-მოწერით შვიდი-ათას მანეთამდინ შეუკრებიათ.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნი ერთ თელაველის სომხისაგან:

„როგორც სწყალობთ ივრელ გლეხს ნინიას, თუ მეც იმის წყალობის ნამს მაღირსებ, ბატ. რედაქტორო, დიახ მადლობელი ვიქნები და ღმერთიც სამაგიეროს მოგანიჭებთ:

როგორც მოგეხსენება ეს ჩვენი ქახეთის ქალაქი ეხლა ძალიან არევ-დარევაშია, დღე და დღე სხვა და სხვა რისხვა მოგვდის ღვთისაგან. მაგრამ რას ვამობ? ბანა მარტო ღვთისაგან, ამ ჩვენი ტერტერებისაგან უარესი! ვენახები სულ ერთიანათ დაგვესეტყვა, მომატებულათ ნაცარმა დააბოლოვა, საქონელი ლეკებმა წაგვართვეს.

„ეს სულ ღვთის რისხვა გახლავთ, ბატონო; ახლა ტერტერების რისხვასაც მოგახსენებ:

„ამ ჩვენი ტერტერების ჩხუბით და დავიდარაბით ხალხს ძრიელი ზარალი ეძლევათ თუმცა არიან ისეთები, რომელნიც ხალხს არ აწუხებენ, ხოლოთ ისეთებიც არიან, რომელნიც ძრიელ სტანჯავენ მრევლს.

„მე ვიცნობ ერთ ტერტერას, რომელიც შემდეგ წირვისა გამოვა ერთს შუა გზაში და იკვეხის დღეს მე სახარება და სამოციქულო ძალიან გავროზგეო. აბ, ნეტავი ამ ტერტერის გამროზგი ვინ იქნება, ანუ როდის! ვიცნობ ერთ ტერტერას, რომელიც შემდეგ ათი საათისა საღამოზედ იხდის ანაფორას, მიდის ტრახტინში მართამს თეატრებს და სხვა და სხვა. ვიცნობ იმ სირაჯ ტერტერას, რომელზედაც ჩემს გარეითათ სხვამაც მოგახსენათ: ვიცნობ ერთ ტერტერას, რომელიც ლოცვის თქმაში ჩვეულებათ დაუდვია საუბარი; იწყობს: „ჰაირ მერ ეორ ერვინს ეს“ და დაუმატებს: „ბიჭო, ერთი ციცი წყალი ამაიტა;“ მაგრამ რომელი ვთქო, ბატონო რედაქტორო, ანუ რომელი მოგახსენო: ურიცხვია ამ ტერტერების ამგვარი მოქმედება.

„ძრიელ გული მეწვება ამისთანა სანახავის ყურებით, მაგრამ რასა ვიქ? საზოგადოებაში ხმა არ ამამღლება, სომხურიც არ ვიცი, რო არქიელს მივწერო და ეს ჩემი გულის წუხილი რჩება ისე ჩემში....“

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ბელგიურს გაზეთში „Indépendance Belge“-ში იწერებიან პარიჟიდამ, რომ პალატის წევრების ამორჩევების დროთ 16 სექტემბერი არის დანიშნულიო.— თუმც ეს ამორჩევების ვადა ჯერ-ჯერობით ოფიციალურად გამოცხადებული არ არისო, მაგრამ ოფიციალური გაზეთები ანბობენო, რომ, ამ ერთი კვირის განმავალობაში, გამოცხადებული იქნებაო. როგორც ამორჩევების დრო, ისე პალატის წევრების ოფიციალური კანდიდატების სახელებიცაო. — ამბობენ, რომ მაკ-მაჰონის პირადი განცლენის წყალობით მოხდა ის, რომ ეს ამორჩევები 16 სექტემბერს დანიშნესო, თუმც, როგორც ამას წინათ „დროებაშიაც“ იყო ნათქვამი, მინისტრები დეკაზი და ბერტო იმას თხოულობდენ, რომ ამორჩევები რაც შეიძლება მალე მოხდეს, მაშინ როდესაც ფურტუს განუსამზღვრელს დრომდინ ჰსურდა მათი გარდადება.—

— ამავე გაზეთის სიტყვებით, „ზნეობითი წესიერების“ დამცველი მმართებლობამ არ იცის თუ როგორ მოიქცეს ბონაპარტისტების შესახებ: ზოგიერთ მინისტრებს გარდაწყვეტილება დაუდვიათ, რომ დაჰყონ ისინი, იმათი მიმართულების დაგვარად, კონსერვატორ—ბონაპარტისტებათ და რეოლიუციონერებათ ან მეორმრებათ. მინისტრებს განუცხადებიათ, რომ იმათგან ისინი მხოლოთ კონსერვატორებს მისცემენ მხარს, მაგრამ გაზეთი „Ordre“ ამბობს, რომ ამ გვარი განსხვავება მათში, ბონაბარტისტებში შეუძლებელი იქნებაო. — ქლერიკალები აცხადებენ თავის გაზეთში „Univers“-ში, რომ ისინი მხოლოდ იმისთანა კონსერვატორული კანდიდატის ამორჩევას დაეხმარებიან, რომელიც მათ პირობას მისცემს, რომ ის დაიცავს ეკლესის და რელიგიური კორპორაციების თავისუფლებას, რომელიც სასულიერო წოდებას პირველ-დაწყებითი სწავლის ხელმძღვანელობის უფლებების მოპოებაში დაეხმარება, რომელიც დაიცავს არმიაში სამხედრო მღვდლების საჭიროებას, სასულიერო სამინისტროს ბიუჯეტს და კვირა დღის შენახვის წესს.—

— 5-ს ივლისს პარიჟში შეიკრიბება სახალხო განათლების სამინისტროს უმთავრესი რჩევა, რომელზედაც ლაბულე, ფერე და მარტელი პასუხს მოსთხოვენ მინისტრს ბრიუნეს იმის ცირკულიარის შესახებ, რომლითაც ის თხოულობდა უნივერსიტეტების სეკტარებისაგან შეეტყობინებიათ მისთვის—თუ რა-და-რა პოლიტიკური ჰაზრების მიმდევარი მასწავლებლები ჰყავსთ მათ თავიანთ უნივერსიტეტებში.

ინგლისი

ბეზიყის ნავსადგურში ინგლისის ფლოტის მეორეთ მოსელაზე ოფიციალური გაზეთი „Standard“ აშკარათ ამბობს: „არ შეგვიძლიან არ გავტყდეთ, რომ ბეზიყის ნავსადგურში ინგლისის ფლოტის მოსელის მიზეზი მხოლოდ თავ. ბარჩაკოვის გაუბედავი და გულუწრფელი პასუხი იყო ლორდ დერბის კითხვაზე. რუსეთის მმართებლობას რომ პირ-და-პირ მიეცა პასუხი,—რომ ის არ დააპირებს სტამბოლზე წასვლას, მაშინ ჩვენი ფლოტი ისევ პირეიაში დარჩებოდა და აღარც ხომალდებს შემატებდნენ მას. რასაკვირველია, რუსეთის კანცლერს ამისთანა პირდაპირი პასუხის მიცემა არ შეეძლო, რადგან ოსმალები მას მხედველობაში მიიღებდნენ; მაგრამ მას შეეძლო ეს საიდუმლოთ, კონფიდენციალურად შეუტყობინებია ინგლისის მმართებლობისათვის, ცხადია, რომ ჩვენი ხმელთა შუა ზღვის ესკადრის თავის ადგილიდამ დანძრევა ამტკიცებს მას, რომ ამისთანა დაპირება არ მოგვსელია რუსეთის მმართებლობისაგან.“

ავსტრო-ვენგრია

ამ ხანებში რუმინიის მმართებლობას უკითხავს ავსტრო-ვენგრიის მმართებლობისათვის, რომ ის წინააღმდეგი ხომ არ იქნებაო, რომ რუმინიის ჯარები ოსმალოს სამზღვარზე გადვიდნენო. ამის შესახებ გაზ. „Presse“ ამბობს: „ავსტრო-ვენგრიის მმართებლობას მიუგია, რომ რუმინიას შეუძლიან სადაც და როგორც ჰსურს, ისე იომოს, თუმც ამასთან აფრთხილებს მას, რომ დუნაის მარჯვენა მხარეზე არ არის იმისთანა ადგილი, ტერიტორია, რომლის დაპყრობაც შეეძლება რუმინიასაო.“

ოსმალეთი

დარწმუნებით ამბობენ, რომ რედიფ-ფაშას დუნაის არმიაში 20 მილიონი პიასტრი მიუტანია, რომლითაც აუცილებელი საჭიროებაები უნდა დააკმაყოფილოსო.

— გაზ. „Presse“-ში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ზობარტ-ფაშის ოსმალოს სამსახურიდამ გამოსვლა მმართლდებაო. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ზობარტს მოუნდომებია ოსმალოს სამხედრო სამსახურში მყოფ ინგლისელი აფიცრების დაცვა იმ შეურაცხყოფისაგან, რომელსაც მათ ოსმალოს ქვეშევრდომებნი აყენებენ; ამ შეურაცხყოფის გარდა, როგორც ამბობენ, ინგლისელ აფიცრებზე ოსმალეთში არავითარი ნდობა არა აქვთო. ამ გარემოების მიზეზით ზობარტ-ფაშა ვერ მორიგებულა სამხედრო და ზღვის უწყების მინისტრებთან და ამის გამო ოსმალოს სამსახურიდამ გამოსვლა გადაწყვიტაო.

— ბეზიყის ნავსადგურში ინგლისის ფლოტის შემოსველას ძრიელ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ოსმალოებზე. ამბობენ, რომ ინგლისის ელჩს ლეარდს მინდობილობა მისელია შეიტყოს — თუ რა თვალით შეხედავს პორტა ინგლისის ფლოტის დარდანელში დადგომას. ამაზედ ვითომც პორტას მიუგია, რომ დარდანელი თავისუფალია იმისთანა სახელმწიფოების ხომალდებისათვის, რომელნიც ამ ქამათ რუსეთს ეომებიან, მაგრამ რუსეთის მეგობარი სახელმწიფოების ხომალდებისათვის კი მარმარილოს ზღვა დახშულიაო.

განცხადებანი

ისყიდება

ქილილა და მანა,

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე ვახტანგისაგან და გალექსილი საბა სულხან ორბელიანისაგან. სუთათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

(3—1)

„კეკეთი“

სარძეო სარდაფს „კეკეთში“, ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, მეტანა, ტეოროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.—

ამ ზაფხულს მსურველთ ქოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბურეოვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეეკარ მე თფილისის ქალაქის გამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმეორის საზღვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, ალავერდოვის სახლში სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უბრავას გვერდით.

უმდაბლესად ესთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან დოვლათბეგოვი

პარიჟელ ახალგაზდა ქალს ჰსურს აძლიოს უროკები ფრანცუზულის ენის გრამმატიკისა და ლაპარაკისა.

მსურველს ადრესის შეტყობა შეუძლიან „დროების რედაქციაში“, აგრეთვე ქოჯორში, ბელაევის სახლებში, საცა ენერალის მორენცის ოჯახობა დგას.

ვისაც ეპირება კაცი, რომელმანც იცის ბუხღალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „დროების“ რედაქციაში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აბ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
აბ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ
ლია წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 12 ივლისს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 262 სანტიმი.	—	81
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	207	—
მოგებიანი (მეორე ესესხი)	207	50
ზირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½)	83	—
მოსკოვის (5%). . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
ყავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. სახღვეევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვეევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვეევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 13 ივლისს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	20
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუ.	7	80
მატული თუშური ფუ.	6	—
— თარაქმისა ფუ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	7	50
ყავა გრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	97

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюля 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.